ახალი



ალმანახი. ჟ. ჭეთახი, 1916 წ.

9512

Библиотека-Музей
имени
Акад. Н. Марра
Академия наук

შვილი მუშა ბოქულაძისა.

~~(ახალი ვარიანტი).~~

ნუ მიყურებ აგრე გაკვირვებითა
გავიცანი ჩემი თავი აწ კი მე,
შრომის ოფლით განწმენდილ-განბანილსა,
მანუგეშებს მომავალი სიამე!..
ნუ ირჯები!.. შებრალებას აღარ გთხოვ,
ეს ჭალარა მისთვის როდი მასხია!
ტანჯვამ მშობა, შრომამ გამომკვება მე,
სიღარიბემ აკვანი დამირწია,
გამაკაჟა ცხოვრების სიდუხჭირემ...
გავფოლადდი შენგან ნაგვემ-დევნილი
ვერ გამტეხა შენმა ბრმა სივერაგემ,
ვადვიტანე ათასი განსაცდელი!
თავს ნუ ჰხრი ძირს!. პირდაპირ შემომხედე,
ნულარც ოხრავ და ნულარც გებრალები,
ფარისევლის ნიღაბი ჩამოიხსენ,
გამისწორე ეგ ცბიერი თვალები!
ნუ ბგონივარ საბრალო მამაჩემი —
ბოქულაძე-მონათ დაბადებული,
ვინც სიცოცხლე—ძალზე განაწამები,—
სიამენი, გრძნობა დაგუბებული
შემოგწირა მხოლოდ ლუკმა-პურისთვის...
სოფლის გარედ უწყალოდ განდევნილსა,
ვისაც აჯექ ზურგზე სიმდაბლისათვის!
ბოქულაძემ არ იცოდა, ვინ იყო,
დღე მარადის ცრემლს აფრქვევდა—მწუხარე,
ვერა გრძნობდა, რომ ისიც კაცი იყო,
ამშვიდებდა მარტოოდენ სამარე,
გულ მოკლული, უმეცარი, საბრალო
ვერ ხედავდა მომავალში ნუგეშსა,
შავი მიწაც მას არგუნე სამადლოდ,
შესცქერიოდა შენს ხელსა და უბესა!
„წყეულ იყოს მუშის გამჩენელიო!“
დღე და ღამე, მარად, თავსა გლოვობდა
და, ბეჩავი, მლოდნე შენის წყალობის
შენვე **გ**ლოცდა, ისევ შენ გაკურთხებდა.

მომისმინე, ჩემო ნაბატონარო!
ნუ მიბღვერი, ნუ გამდგარხარ განზედა.
მიტომ ჯავრობ, ცხოვრების ნებიერო,
რომ არ გიმღერ მამიჩემის ჰანგზედა?
გაუმარჯოს მუშა კაცის მარჯვენას,
ღვაწლ მოსილსა ტანჯვას, შრომას მრავალსა!
გზა გაგვეხსნა ცხოვრების სარბიელის,
ტრფობით შევსცქერთ ჩვენს ახლო მომავალსა
განცხრომის ძევ! ნუ მირბიხარ მოიცა,
მათქმევინე ჩემი გულის ნადები!
ზღვა ხმელეთი მეკუთვნოდა ოდესღაც...
გაზაფხული სურნელების ნიავიც
შენ გატკბობდა... მაღლით გიღიმოდა ცა.
ნებიერათ გაზდილ გალაღებულსა
არად გიჩნდა სხვა—შენებრივ კაციცა.
ნამუსს ჰოყიდდი, სხვისგანაც ყიდულობდ
უნამუსოდ დარჩენილხარ მაინცა!
ნუ წუწუნებ... თავსაც ნულარ მაბრალებ,
ნუ მიწოდებ ძმათა და მეგობრათა...
ან კი მითხარ, რა აქვთ საძმო, საერთო
ალალ მუშათ და მზაკვარ-მეგობართა!
რისთვის შეკრთი? გაიგონე კიჟინა,
ბაღით გესმის ჭიანურის, ლხინის ხმა?
იქ არიან ჩვენი მუშა ბიჭები,
შრომის შემდეგ გაუმართავთ დიდი სმა...
წავალ მეც იქ... იმათამც ვენაცვალები!
უიმათოდ არად მიღირს სიცოცხლე,
შრომის შვილნი „ერთობას“ ვუგალობებთ
ერთობაა ჩვენი ბეჭე, ჩვენი ზღუდე.
იქვე დავლევ მამის შესანდობარსაც,
იმ საბრალოს საიქიო უყვარდა...
ახლა იგი შენთვის დამილოცნია,
ნებიერო, შენი სვე ხომ შურია,
გეყო, გეყო ამდენი ბატონობა,
დღიურ მუშას—მეც სიცოცხლე მწყურია!!

ია ეკალაძე

კოშკი.

ინგრევა კოშკი საუკუნით აშენებული!
წინაპართაგან მოტანილი ძვირფას ბროლებით
ცვივა სარკმლები ბედისწერით დაშინებული
დაშინებული ბედისწერის გამოქროლებით.
სვეტები, რომელთ თავზე ადგა ელვარე თაღი,
წარსულთა დღეთა მტკიცე ბურჯი და მეგობარი
სდგას დაქანცული, გაძარცული, უიარაღო,
ყველასთვის უცხო და ყველ,სთვის გაუგებარი.

ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული—
ვით ძველი რომი, ან ბაგრატის კოშკი-ტაძარი;
სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული
აქ ისევ გაჩნდა შიშის ლანდი უზარ-მაზარი;
კოშკის ძველის-ძველ ფოლიანტზე რაღაც დასწერა
და შემოხაზა გამოუცნობ ნების რკალებით ..
ალბად მოხდება სასწაული საბედისწერო...
ნუ თუ არავის, არავის არ შევებრალებით?

ოჰ, გული, გული! რანაირად მტკივა ეს გული!
კოშკში ღამეა... უკვე ჩაჰქრა, ჩაჰქრა სანთელი,
დედა, სადა ხარ! მამა, სად ხარ! ან რად მინდოდა
ეს ტაშისცემა, ეს ვარდები, ეს ჟრუანტელი?
„მოჰყვები ქვეშ ამ უხეშ კედლებს“! ჩუმ ხეტიალით
მესაუბრება წინათგრძნობა დაჟინებული...
აჰა! ყრუ რყევით, ხმაურობით, გრგვინვა-გრიალით
დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული!

გალაკტიონ ტაბაძე.

მე ბუნების მიჯნური ვარ.

მე ბუნების მიჯნური ვარ, მიყვარს მისი ტრფიალება,
მისი ჰანგის ყურის გდება, მისი მადლით ზიარება;
და როდესაც ხელთ-უქმნელი სილამაზე წინ მეშლება,
გრძნობა ფრთებს შლის სანავარდოთ და მიმაფრენს შორს ოცნება.

აჰა, ახლაც სერზე ვდგავარ და გავყურებ მთებს და გორებს,
სადაც ფაზი მძვინვარ ტალღებს ქაფმოდებით მოაგორებს...
წინ მეშლება მთის კალთები და ნაძვნართა მწვანე ხაზი,
თავს რომ ნისლთა ჯიღა უმკობს, არხევს სიო ფრთა მალხაზი,

და ვეძლევი აღმაფრენას, საიდუმლო ხმებსა ვიჭერ
და რითმებათ აკინძულსა სათითაოდ გულზე ვიწერ...
სიმღერას ვქმნი მომავლისას ჯერ უსმენელს, სახმატკბილოს
მსურს სიცოცხლის ძლევის ჰიმნი თვით სიკვდილმაც ვერ დაჩრდილოს!

ვ. რუხაძე.

სიმღერა

შენ სამოთხის ყვავილს ჰგავდი, გაზაფხულზე გაფურჩქნულსა
სიყვარულის გვირგვინს სწნავდი, შიგ ართავდი გრძნობა-სულსა,

მე უსიტყვო სევდა მკლავდა, შენი ეშხით დანაგულსა,
ჩემი ფიქრი შენ დაგყავდა, შენი მესო დანა გულსა;

დღეს სადა ხარ, რომელ მხარეს? რად დამაგდებ დატანჯულსა?
—დამხსენ გლოვა-სიმწუხარეს, ნუ მომიკლავ სიყვარულსა!

ნ. ჩხაგვაძე

მგოსანთა მეფე.

ამ ერთი-ორი თვის წინად გაზ. „საქართველოში“ მოთავსებული იყო ტ. ტაბიძის წერილი; „უმეფობა. ლიტერატურული ტრაური“. აკაკისა და ვაჟას გარდაცვალების შემდეგ ჩვენში უმეფობაა, სწერდა ახალგაზრდა მწერალი და, სხვათა შორის, იხსენიებდა საფრანგეთის მგოსანთა შორის მიღებულ ჩვეულებას: მგოსანთა მეფის ამორჩევას. თითქმის უველა ახალგაზრდა მგოსანმა, ეისთანაც კი საუბარი შეგვხვედრია, ეს აზრი მიიღო, ჩვენც ვიღებთ ამ აზრს და ვამბობთ: რა კი თვითონ მგოსნებს სურთ ასე, საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება. ინიციატივას მგოსანთა მეფის არჩევისას კისრულობს ჩვენი ალმანახის რედაქცია. ჩვენი რედაქცია შეეკითხება 200 გამოჩენილ კაცს (მგოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, დრამატურგებს, რედაქტორებს, და საზოგადო მოღვაწეებს) თუ რომელი ახალგაზრდა მგოსანი არის დირსი მეფობისა. ის კინც უველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამოცხადებულ იქნება მგოსანთა მეფედ. ეს ჩვეულება გაჰყვება საუკუნეებს და გვირგვინთა ცვლაში ჩვენს მეფეთ თან ესლება ჩვენი სიყვარული და მოწიწებით ხსენება.

1916 წ.
28 თებ.

“ახალი ცისკრის„ რედაქცია.

ახალი ცისკარი.

დუხჭირი და გარდამავალი ხანა ყოველ ერის ცხოვრებაში იყო.

ხშირად რომელიმე ერი ბედის უკუღმართად ტრიალის გამოისობით ისე გადაგვარებულა, რომ მკვლევარს მისი ნამდვილი ვინაობა, მხოლოდ ისტორიულ ნაშთთა წყალობით შეუტყვია.

ასეთი იყო ჩეხელთა ბედი ამ რამდენიმე ოცეულ წლის წინად, როდესაც მათ გერმანელთაგან ვერ გაარჩევდით, მაგრამ დღეს ჩეხელები სრულიად გამოერკვნენ ენა და ლიტერატურა, რომელიც თითქმის დაკარგული ჰქონდათ არაჩვეულებრივის სისწრაფით აღაყვავეს და საკუთარ ენაზე ლაპარაკი და წერა აღარ ეთაკილებათ.

ჩვენშიც იყო გარდამავალი ხანა, როს მე-XIX საუკ. მოქანცულ საქართველოს ახალგაზდობამ სამშობლოს ხურგი შეაქცია და მეტად მავნებელ დასვენებას მიეცა. იგი ჰპოებდა სრულ განცხრომას და ბედნიერებას „მოხელეობაში“—სამხედრო სამსახურში... ყველამ ყბად და აბუჩად აიღო, როგორც ქართული ენა ისე ქართული ლიტერატურა ქართულ ენას მუდმივ საღაპარაკოთ ამ დროს მხოლოდ მაშვრალთა შორის მოჰკრავდით ყურს.

და ეს საბედისწერო ხანა ჩვენ ცხოვრების საფარგლეს ჯერაც არ გასცილებია სავსებით,

მზე ქალი

ვჩქარობ და ვშორდები სულიერ ტყვეობას,
მდინარე გავსცურე. შევყევი ხეობას...
ლამაზობს არენი, კეკლუცობს ყვავილთ-ტყე—
ქორწინობს სრულყოფით და ხარობს შვების დღე...
იმსხვრევა ჩანჩქარი ათოვებს ბროლ-წინწკლებს, —
მკრთალ სხივებს ეტრფიან დაისით მოქნილებს..,
გაფითრდა დღის სახე და ფერი იცვალა,
ღამის ხმით, ღამის ფრთა მხრებს გადმოიშალა.
ფერიათ კრებული, მთის ფიქრში ფერხულობს,
ეხლახან ჩემთ ზრახვათ სინაზე ერთგულობს...
და ფიქრიც ყვავილობს, ი'ლება, მაისობს,
მზეთ შლილი—მზე ქალი იქ მთებში ხალისობს,
ალმასობს,—ლამაზობს—მეფობს და დედოფლობს,
აგიშრებს წამწამთ ტყეს, მელნის ტბით ანაწყობს.
გამოჩნდა შორის მთით, მზე ქალის სასახლე,
გულის ოქმა შლილ ვარდათ მზის ელჩით ვაახლე.
სპილოს ძვლით ნაგები, მზის ეშხით მორთული
მშვენიერობს სასახლე ძვირფასად შემკული.
ვშორდები სიცოცხლით სულიერ ტყვეობას,
მთის ფიქრში ვყვავილობ, მივყვები ხეობას.
ფითრდება სიცხადე, ოცნებით ნაალი,
სიამის შუქსა მფენს მზით დედოფალი
მხიბლავს მზე ქალი.

[illegible]

დღეს „მაღალ განათლებულ“ წოდებას ათვალწუნებული აქვს საკუთარი ენა და ლიტერატურა მაგრამ ჩნდება იმედი.

ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ქართველი ახალგაზდობაც ერკვევა, მეტს პატივისცემას ი'ჩენს საკუთარ ენა-ლიტერატურისადმი და მის ასამაღლებლადაც მოქმედებს ჰეგზიტურ ლიტერატურის ბატონობას საზღვარი ედება და უნდა ვიწამოთ რომ მიზანსაც მივსწვდებით, მხოლოდ საჭიროა ასოციაცია და მეტი ინტენსივობა.

ნამეტნავად თანამედროვე ერის ცხოვრებაში ერთი უპირველესი მნიშვნელობა აქვს კულტურა ლიტერატურას, ყურადღებას მაშინ მოგაქცევენ, როდესაც შეიტყობენ, როგორი კულტურის წარმომადგენელი ერი ხარ, როგორი მწერლობით ამაყობ და რამდენი ჟურნალ-გაზეთი გაქვს.

სწორედ ამიტომ გვიხარია ჩვენ ალმანახი „ახალი ცისკარის“ გამოსვლა, რომელიც თავის წმინდა მოვალეობად ისახავს ემსახუროს ჩვენს ენა ლიტერატურას და შეძლების დაგვარად ახალგაზდა მწერლების ძუშაობასაც ხელი შეუწყოს.

ირ—დი.

მემნონის ძეგლი.

იქ, შორს, სახარის ქვიშიან უდაბნოში, სადაც ისტორიის სიძველით ჩაფერფლილი მემნონის სული განისვენებდა და სახარის ცხელი ქვიშისა და ქარავანთა იშვიათი ხმაურობა გაისმოდა ხოლმე, იმავე მემნონის ძეგლი სივრცეში აღმართულიყო ცაში თვალებ აპყრობილი და ღამ-ღამობით ვარსკვლავებით დაწერილს სულის სუფევის არაკს ჰკითხულობდა და დღით მზის გახურებულს ცეცხლის ნიაღვარში პირს იბანდა.

გავიდა ერთი წუთი-ათასი წელი.

გავიდა კიდევ ერთი წუთი-კიდევ ათასი წელი.

და ერთ დღეს ცხოვრების ძეგლმა-მემნონმა რაღაც აღმაფრენა იგრძნო. იგი აქამდისინ უგრძნობლად ისმენდა ღამით, სახარის აჩირებული სიცივით გახურებულ ლოდთა უეცარ სკდომას და მათს ხრიალს. იგი უგრძნობლად ისმენდა ძულომის თავგანწირულ ხმუილს, რომელიც მთელ მიდამოს აძრწოლებდა. იგი ყურთასმენას არ აპყრობდა არც საზიზღარ აფთართა ყეფა-ტირილს, არც არაფრად ეპრიალებოდა თვის კვარცხლბეკის ქვეშ გულ-შხამიან მორიელის შეშმაშურება. მისთვის სულ ერთი იყო აგრეთვე თვალ-ალმასა თავწამოწეულ ასპიტ გველის ქეჯნის ტანტალი და ცივი ერუანტელის მომგვრელი სისინი.

იგი ცაში იცქირებოდა და ვარსკვლავებით ლურსმულად წარწერილს ცხოვრების ამოცანას ჰკითხულობდა.

და რამდენიმე წუთის-რამდენიმე ათასი წლის შემდეგ მან რაღაც აღმაფრენა იგრძნო. მისი ტვინი გაიშალა. ქვის საფეთქელმა ფეთქვა დაიწყო. თავში რაღაც უხილავი ამოიჭრა, ცაში აფარფატდა და მზის გავარვალებულს ქურას თავს ევლებოდა.

და მოინათლა მემნონის ძეგლი მზის ოქროს. ცეცხლით ლაჟვარდ ემბაზში, და ყოველ მზის ამოსავლისას იგი ქვის ნაზ გალობას შესძღვნის ხოლმე.

ეხლაც ჰკვირობენ მეუდაბნოენი და ვერ ჰკითხულობენ მისს ლურსმულ გალობას.

როგორც მემნონმა შესძლო - მზის ამოცანის ახსნა, ისევ ამოიცნას ხალხმა მემნონის იდუმალი გალობა და ბედნიერება მოეფინება კაცობრიობას.

მაგრამ იგი ისევ მიუწდომელია, როგორც ბედნიერება, რადგან თვით ბედნიერებაა და ამ გ

წამებაში, ამ ძიებაში კიდევ ახალი ბედნიერება იკვერება.

დიდებულია მემნონის ძეგლი!

დიდებულია მისი იდუმალი გალობა.

დუმნა. შენგელაია.

ძველი ლეგენდა.

მრავალი ქვეყანა დაიპყრო მაკედონელთა მეფე ალექსანდრემ.

მისი-ძლევა მოსილი ჯარისათვის ომი და დაბრკოლებანი თითქოს თამაშათ და გაერთობათ გადაიქცა. ისინი მიდიოდენ წინ, სულ-წინ და მრავალი დროშა დამარცხებულთა იხრებოდა ძლევა-მოსილი მეფის ფერხთა ქვეშ.

ბედი სწყალობდა ალექსანდრეს და ისმოდა სახელი მისი ქვეყნიდან ქვეყნამდე... მაგრამ მოსწყინდა მას დიდება და სახელი და ის შეიპყრო რაღაც ფიქრებმა, მწარე ფიქრებმა და მისი სარდლები ხშირათ ხედავდენ მას დაფიქრებულს, თითქოს განუჭარვებელი ნაღველი რამ აწუხებსო.

—რამ დაგაფიქრა, დიდებულო მეფევ-ეკითხებოდნენ მას სარდლები-განა მთელი ქვეყანა შენს ფერხთ ქვეშ-არარის, განა ყველა შენს წინაშე ქედს არიხრის, განა არის ქვეყნათა ვინმე, რომ შენი სურვილის წინააღმდეგ წავიდეს?!..

ალექსანდრე არ აძლევდა მათ პასუხს, სტოვებდა გაკვირვებულს სარდლებს და ისევ დაფიქრებული გადიოდა ჯარების დასათვალიერებლათ, რათა მათი ვარჯიშობის ცქერაში ცოტახნით მაინც დაევიწყებინა მწვავე ფიქრები, რომელნიც არ აძლევდენ მას მოსვენებას, ღრღნიდნენ მის გულს, ვით მატლი ხის ძირს, უაკარგავდენ მას სულის სიმშვიდეს.

ხშირათ ეძიებდა ის ხსნას ღვინოში... ხან კი, როდესაც ბრძოლის ველზე გაისმოდა სა-ყვირის ხმა და ასტყდებოდა ყიჟინა მოემართა-ის ჩაერეოდა მებრძოლთა შორის და, თითქოს სიკვდილს ეძიებსო ეკვეთებოდა იქ, სადაც ცხარე ბრძოლა იყო გამართული, სადაც მეტი ხიფათი მოელოდა მას.

თითქოს უხილავი ანგელოსი იფარავდა ალექსანდრეს-ის ყველგან უვნებლათ გამოდიოდა, ხოლო ცოტა ხნის თავდავიწყების შემდეგ მთელი მისი არსება ისევ ფიქრებით მოიცოდა, ისევ მწუხარება მეფდებოდა მის სულში

— რით გავათავებ მე ჩემს ცხოვრებას, როგორი იქნება ჩემი ცხოვრების უკანასკნელი დღეები...

ქურუმი.

მას, ვინაც ზეცით დაბადებულა ღვთიურ ლოცვების ნამდვილ ქურუმად
შემოქმედების ძლიერი ცეცხლი უღვივის გულში და გულს სწვავს ჩუმად.
დ• ოდეს მის ალს გაასკეცებულს ვეღარ ითავსებს გრძნობა-გონება,
როს წუთიერი სწრაფვა-სურვილი მუდმივ ძიებას დაემონება,
მაშინ ეწვევა ბედნიერ ქურუმს განცდა უკვდავი ზეშთაგონება.
ამ დროს მას ძალ-უძს თვალთა ისრითა—ვარსკვლავთა ხომლი ჩააქროს ცაში
შემოსოს თეთრად ზაფხული მწვანე, გაჰფურჩქნოს ვარდი თოვლიან მთაში.
ერთი სურვილით, ერთის ოცნებით მყის გააქვავოს ცელქი მდინარე,
ღამის წყვდიადი აღანთოს ლამპრად და დააბნელოს მზე მომცინარე.
ამ დროს მის სულის ძლიერ ქარტეხილს, მის სულის სწრაფვას ვერ ედარება
ვერც ელვა-მეხი, ვერც ქარიშხალი და ვერც მრისხანე ზღვის მღელვარება.
ამ დროს იმის წინ იღება ხოლმე მარადისობის გრძნეული კარი.
შორდება მიწას და ავიწყდება სიკვდილ-სიცოცხლის ბნელი ზღაპარი...
ხოლო რა ძალი აკლდება ქურუმს, ვით სიცხოველე ზამთარის მზესა,
მუნჯად შესცქერის თვის მიერ შეჰქმნილს და იქ ხედავს რა საკუთარ მე სა
მაგრამ დრო გადის ქურუმიც ისევ ახალ-ახალი განცდით ივსება
და ვიდრე იგი ცოცხალი არის სრულ სიმშვიდესა ვერ ეღირსება.

გ. მეგრელიშვილი.

როგორ გავიგო საიდუმლოება ჩემის ცხოვრებისა-ფიქრობდა ის.

პასუხს კი ამ ფიქრებზე ვერავინ აძლევდა ხშირათ ეკითხებოდა ის მეცნიერთა და ვარსკვლ•ვთ მრიცხველთ, რათა ეთქვათ მისთვის ყოველივე მართალი, გადეშალათ მის წინ მისი ბედის სურათი. ისინიც თავისას ამბობდენ, მაგრამ ალექსანდრე ატყობდა, რომ მეცნიერთ ეშინოდათ მისი, ცბიერობდენ მის წინაშე...

ერთხელ ცხარე ომის შემდეგ ისთავის ამალით ერთს ქალაქში შევიდა.

მეფეს გაეგონა, რომ აქ იმყოფება სახელ განთქმული მოგვი, რომელიც ერთი შეხედვით უამბობს ადამიანს თუ რა მოელის მას ცხოვრებაშიო.

ალექსანდრემ მოისურვა მისი ნახვა...

...მის წინ წარსდგა და ბალიტანის, გრძელ წვერა მოხუცი და მოწიწებით თ•ვი დაუკრა.

— მითხარ, თუ რა-მიცი, მოხუცო ყოველივე საიდუმლოება ჩემის ცხოვრებისა... რამომელისმე მომავალში... როგორია ჩემი ბედი... ყველაფერი მითხარ, ყოველივე ამიხსენ და გამაგებინე...

— მომყევით, მეფეო და ყველაფერს გეტყვი...

მაკედონელი მიყვა მოხუცს... ისინი შევიდნენ ერთს ეზოში, სადაც იდგა ერთი პატარა ეტლი. ერთს ალაგს ამ ეტლზე ისე ხელოვნურათ იყო გამოსკვნილი ბაწარი, რომ ადამიანს არ შეეძლო ენახა ბაწრის თავი, რათა გაეხსნა ეს საიდუმლო-კვანძი.

— ჯერ გახსენ, მეფეო ეს კვანძი და მერე ყველაფერს მოგახსენებ-უთხრა ალექსანდრეს მოხუცმა და კვანძზე მიუთითა.

მეფეს გაუკვირდა ამგვარი ქცევა მოხუცისა, მაგრამ მაინც დაუწყო ხსნა.. ბევრი ეწვალა ალექსანდრე... ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა მის შავგვრემან სახეს, მაგრამ ვერაფერი ვერ გააწყო მან, ვერაფერი ვერ მოახერხა-საიდუმლო კვანძი არ-იხსნებოდა.

— რას მაწვალებ, ბებერო-გაბრაზებით შეჰყვირა მოხუცს ალექსანდრემ აჰა თუ-ვერ გ•ვხსნი-და მან უცბათ იძრო ხმალი და საიდუმლოთ შესკვნილი კვანძი შუაზედ გადასჭრა.

— ეხლა რას მეტყვი... როდის გავიგებ ყველაფერს?

— როდესაც ასე გადიჭრება საიდუმლო კვანძი შენი ცხოვრებისა...

— მაშინ ხომ მე ცოცხალი აღარ ვიქნები...

— იმის გაგება, რაც შენ გსურს ცოცხალს არასოდეს არ ძალუძს... და ვერც გაიგებს ვერასოდეს-მიუგო მოხუცმა და განშორდა მეფეს.

ნ. ბაწიაშვილი.

თურქული სიყვარულისა.

ქალაქის განაპირას სტუდენტობდა სახელგანთქმული მხატვარი. იმისი მოხდენილი კოპწია სახლი იდგა საუცხოოთ გაშენებულ ბაღში.

მხატვარი დილით ადრე ადგებოდა, სამხატვრო სალათს ჩაიცვამდა და ბაღში დიდსანს სეირნობდა. შემდეგ ცელქი შადრევანის გასწვრივ ჩამოჯდებოდა და ეურს უგდებდა იადონთა ნაზ შეხმატკბილებას...

რიცა მხატვარს ბუნების სიმშვენიერე მოხიბლავდა ისევ თავის ოთახში დაბრუნდებოდა და თავის საქმეს ხელს მიჰყოფდა. იგი გატაცებდა მთა-გორაკებს, სილამაზით სავსედ განთქმულ ასულთ და ბუნების საუცხოო ფერებს.

მხატვრის გვერდით იდგა ახალგაზდა მომდერალი ქალი, იმისი ჩიქურთმებით შემკული სამ სართულიანი უზარმაზარი დარბაზი მედიდურად გადასტქეროდა მხატვრის სახლსა და ბაღს.

მხატვარი დაიწყებდა ხატვას თუ არა, მომდერალი ქალი სელში თარს აიღებდა, ფანჯარას მიადგებოდა, გრუზა თმებს მკერდზე გადმოშლიდა და თავის მომჯადოებელ ხმას უცხო სიმთა კენესას შეუერთებდა.

მხატვარს ქალწულის გრძნობით ადსავსე ხმა — ხმა სიხარულისა ესმოდა და თავის საქმეს უფრო სასოებით, უფრო ადტაცებით ასრულებდა...

* * *

გაზაფხულის მშვიდი სადამო იყო...

დრო გამოშვებით ნელი სიო ლურჯათ ამწვანებდ ხეთა ფოთლებს ქალწულის ფარჩის კაბასავით აშრიალებდა და ნაზად გადაშლილ ყვავილების სურნელებას ქალაქის ფართო ქუჩებში აკმევდა...

ქალაქს ელეკტრონის ალი მოსდებოდა...

ერთ დიდ კოფეში ლიტერატორებს თავი მოეყარათ და ხელოვნებაზე გულდასმით საუბრობდენ.

ახალგაზდა მგოსნები სუფრას მოსხდომოდენ და მოწაფე ქალებს ლექსთა რითმებით აორობდენ.

იქვე იყო მხატვარიც...

კოფეში სასწრაფოთ შემოიკრა ეერონეულად მორთული გაზეთის დამტარებელი და ყველას ხვალინდელი გაზეთი მიაწოდა.

მხატვარმა გაზეთი გადაშალა და შემდეგი ამოიკითხა:

„ცნობილი მომღერალი ქალი ჭანგოშვილისა ახლო მომავალში კონცერტს გამართავს“...

— ჭანგოშვილის? ის უნდა იყვეს. — გაიფიქრა მხატვარმა და ნეტარების ფერმა გადაჭვრა. იგი გაზეთს უფრო გაოცებით ჩააჩერდა და შავი ასოებით დანიშნული სტრიქონები რამდენჯერმე ამოიკითხა,

მხატვარი ოცნებას მიეცა. იგი ფიქრობდა, რა მიეძღვნა ნობათად მშვენიერ მომღერალი ქალწულისათვის.

მან მეგობრები დასტოვა. ეტლს დაუძახა და ფიქრთა მორევში მოლივლივე შინისაკენ გაეშურა...

* * *

..... დადამდა.

ქალაქის ახალი თეატრი სადღესასწაულოდ მოერთოთ...

დარბაზი მადალ არისტოკრატიას დაეწერა.

ქალწულთა ძვირფასი სამკაულები ელექტრონთა სხივებზე ათასფერათ ბრწყინავდა.

სადღესასწაულო სამოსელში მსხდომარე ჭაბუკები თავის სატრფოთ ნაზად ეაშაგებოდენ...

ყველას სახარული ემჩნეოდა. ადგილიდან ადგილს იცვლიდენ და ერთი მეორეს თავის აზრებს უზიარებდენ; მხოლოდ დოჟაში სულ მარტოდ იჯდა მხატვარი და მომღერალი ქალის სტენაზე გამოსვლას მოუთმენლად ელოდა...

გაისმა პირველი ზარი... მაყურებელნი თავის ადგილებისაკენ გაეშურენ. ლოჟები გაიწყდა...

გაისმა მეორე ზარი, მესამე და ფარდა აიხადა.

ხელოვნურად მორთულ სტენაზე ნელინაბიჯით გამოვიდა ძვირფასს ხავერდში გამოწყობილი დვოიერი ნაზი ასული. წერწეტა წელი, ნახევრად შიშველი მკერდი ბროლის კისერი, კიშრის თვალ-წარმწამნი და თვალ-მარგალიტში მსხდომარე ბრინჯაოსაგან გამოთალული ხელის თითები — კაცს გულს უძგერებდა და სულს უშფოთებდა...

მომღერალი ქალი შეჩერდა... დარბაზში მეოთეთ თვალი გადაავლო... უმანკო ბაგენი გააპო და აღმოხდა ხმა, -ხმა წარმტაცი ვით ანგელოსთა გუნდისა.

ქალწულის ხმამ ბევრი ატირა და ბევრს კიდევ სიხარული მოგვარა...

მან რამდენიმე სიმღერა შეასრულა და ფარდა ნელა დაეშვა...

გაისმა ტაშის ტემა და მიართვეს მას ძვირფასი ნობათები...

* * *

მეორე დღეს მომღერალი ქალი ნობათების გადასათვალიერებლად ადრე ადგა.

ოქროს სამკაულებსა, თვალ-მარგალიტებსა, ნარგიზთა და სხვა საუცხოო ყვავილთა შორის ამმოხნდა ცარიელი ქალაღალიც. ერთი სიტყვა, ერთი ასო, ერთი წერტილი ზედ არ აჩნდა.

ქალწულმა ცარიელი ფურცელი ხელში აიღო. სიიდან კარსნდა ან ვინ ჩასდო ნობათებში მან არ იცოდა...

მზამდერადმა ქალმა ნობათებს თავი კანნება და ცარიელი ფურცლით იმ დარბაზში კვიდა, სადანაც თავისი ჯადოსნური ხმით არაერთხელ დაუტკბია თავისი მეზობელი — მსტვარი.

იგი ღრმა ფიქრებს მიეცა... გული უცემდა, იტანჯებოდა... უნდოდა ამოეკითხა რამ ცარიელი ფურცელიდან, მაგრამ ამაოდ...

— რას ნიშნავს ეს, ნეტავ რა უნდა იეოს?!. ხმა მაღლა წამოიძახა ქალწულმა.

— სიყვარულს, ფურცელი სიყვარულის! — მოესმა მას კარებიდან და მის ფურცთა წინაშე დაემსო მსტვარი...

ნიკ. ასათიანი.

და-ძმა.

(ამბავი)

შინ მოწყენილობა ვიგრძენი და ქალაქის ბაღისკენ გავემგზავრე, სასეირნოთ, იმ იმედით, რომ ცოტას მაინც გავერთობოდი და მოწყენილობას გავიქარვებდი. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა ბაღში, რომ შევედი. ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა. მე ერთ ძველ მეგობარს შევხვდი. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჩვენ შორის ჩამოვარდა საუბარი საერთო ხასიათისა.

მე რუსეთიდან რამდენიმე დღის დაბრუნებული ვიყავი და ამიტომ მეკობართან საუბარი ადგილობრივ ცხოვრების ავან-ჩავანზე ჩემთვის საინტერესო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მან მითხრა: -იცი, ალიმ თავი მოიწამლა!

ალი, ღარიბი დედ-მამის შვილი იყო. გაჭირვებით და მწუხარებით აღზდილს ცხოვრებამ პირველად მრავალი შხამიანი წუთები არგუნა, მაგრამ ბოლოს ბედმა გაუღიმა და აფთიაქში მოწაფის ალაგი იშოვნა.

ალის სიხარული დაუსრულებელი იყო ჯამაგირიან ალაგის შოვნის გამო და მეცადინობას თავგამოდებით შეუდგა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი დავტოვე მე ის რუსეთში წასვლისას და ახლა მისი ტრაგიკული სიკვდილის გაგონებაზე, ჭირის ოფლი დამესხა, გულმა შეჩერებით დაიწყო ცემა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი მეგობრის დაკარგვის გაგონებაზე.

— საწყალი, საცოდავი ალი! ვსთქვი მე და ძალზე გაოცებულმა ვსთხოვე ამხანაგს, რომ დაწვრილებით მოეთხრო ჩემთვის ყოველისფერი, თუ რომ აიძულა ის ასეთი საქმე ჩაედინა.

მეგობარმა მითხრა:

— ალის თავის ამორჩეული ჰყავდა. ქალი მოხდენილი და ლამაზი ტანადის იყო. მისი გიშერივით შავი თვალები ცეცხლივით სწვავდა მას. ლალის ფერი ტუჩები ტრფობის უკვდავ ნექტარს ასმევდენ მას და მან გადასწყვიტა მის ბედთან თავის ბედის ჩაქსოვა, შეუღლება, მაგრამ ამის დამაბრკოლებელი მიზეზათ და გაუხდა.

— პელაგო, ალის-და, როგორც იცი, დროგადასული გაუთხოვარი მანდილოსანი არის. მის პირისახეზე მუდამ შეამჩნევთ მზაკვრულ ღიმილს. მობუზღუნე, საათობით ლაპარაკს შეჩვეული, მთელი დღის გამავლობაში იმის ცდაშია, რომ ვინმეს გესლიანი სიტყვა უთხრას და ამით გული მოიჯერიოს.

ის თუ ვისმეს. რასმე პატივისსცემას მერმე სულ მის ყვედრებაშია. დაუნდობარი და გაუტანელი ხასიათის პატრონი არის და ვისაც თავის კლანჭებში ჩოიგდებს სიცოცხლეს გაუმწარებს. ასეთ ბედს ვერც ალი აცდა; დამ ალისთვის ალაგის შოვნაში ცოტაოდენი შრომა გასწია და ახლა სამაგიეროთ სრულ მორჩილებას ითხოვდა მისგან და ვალდებულად ხთიდა მას, რომ ჯამაგირი უკლებლად დისთვის მიერთმია. მაგრამ დის მოთხოვნილებაში ყველაზე მძიმე და აუტანელი მისთვის ის იყო, რომ მეგობრებისაგან ჩამოშორებას მოითხოვდა.

— ალი დროებით. ემორჩილებოდა დას, მაგრამ მწუხარებას გულშივე იკლავდა. ის ვნების ძლიერების ბადეში გახვეული ვერ ნახულობდა საშვალებას, გაჭირვებიდან თავი ეხსნა. ერთის მხრით იდგა აჩრდილი მობუზღუნე. დისა და მეორეს მხრით ტურფა ასული, რომელიც გამოუთქმელ ნეტარების გრძნობით, ვნების ტალღებს აფრქვევდა მას.

ქვეყანაზე საუკუნო არა სფერი არ არის და ალის წვალებასაც ბოლო მოეღო.

მან დედ-მამას გაუმჟღავნა ცოლის სურვილი და როდესაც ეს პელაგომ გაიგო მას არც აკივა, არც აცხელა, ჰკრა წიხლი ძმის გრძნობას დაცინვით გადი ხარხარა და თან უთხრა:

— მე გაგზარდე, მე გამოგიყვანე ადამიანად და ჩემს ნება დაურთველად მაგ დღეს ვერ მოესწრები!

— ჯერ ამაგი გადამიხადე და მერმე საითაც გსურდეს იქით მიბძანდი!

ასეთი ვადაწყვეტილი პასუხის შემდეგ ღრმა მწუხარებამ და სევდამ შეიპყრო ის.

თავი იჩინა მასში ზიზღისა და სიძულვილის გრძნობამ. დიდმ უკმაყოფილებამ იჩინა თავი დაძმათა შორის.

გაანჩხლებული პელაგო ხშირად ეუბნებოდა მას: --შე უტვინო, ქარაფშუტა ფარმაცევტო; შენ არასფერი არ გაგაჩნია, სახლი ჩემია და შენ არაფრის პატრონი სიყვარულის კოშკებს ჩემს კარავს ქვეშ აგებ!

მაგრამ ვერ მოგვართვეს!

პელაგო ძმის მდგომარეობაში არ შედიოდა, მაგრამ ხანდახან გრძნობდა სინიდისის მხილებას, რომელიც შემცდარ გზაზე დამდგარს, სხვას, უფრო სწორს გზას უჩვენებდა, მხოლოდ ეს ძლიერი მხილება ყოველთვის წუთიერი იყო და სისაძაგლის სავანე თავისას არ იშლიდა,

—ერთხელ ალის ძალზე მეტად გალანძღულს სისხლი ცხელ ზვირთად გულზე მოწოლოდა და გადაეწყვიტა თავის მოკვლა.

მარიამობის თვის უკანასკნელი რიცხვები იყო. იისფერ ცის კაბადონზე მზე, უზარმაზარი ცეცხლის რგოლათ ქცეული, ჩასასვლელად ემზადებოდა. დასავლეთით ცის კიდურზე მოსჩანდა მწკრივად დაწყობილი ღრუბლები. საღამოს გრილი სიო ნაზად ეალერსებოდა ამწვანებულ არე-მარეს. ხეებს შორს გაესროლათ საღამოს გრძელი ჩრდილები.

მოშორებით მოსჩანდა აჭარის მთები, რომელსაც მჩის სხივები უკანასკნელ სალამს უძღვნიდენ, მზე ჩაგორდა. ქვენა ქარმა დაიქროლა. ცა შავი ღრუბლებით დაიფარა და მწუხარების ცრელმლების გადმოსაფრქვევად მოემზადა.

— მე ბაღში შევედი და ალი იქ ვნახე. იგი ფერმკრთალი, არაჩვეულებრივად იყო აღელვებული. ჩემი მიახლოება მან ვერც კი შეამჩნია და მხოლოდ მაშინ გამოერკვა როდესაც სალამი მივეცი.

მან მწუხარება გამიზიარა და მე ნუგეში მივეცი, მაგრამ დაღონებულმა მითხრა;

— განწირულების საშინელი წუთები ნელ-ნელა მეპარება და მართმევენ სულის უკანასკნელ სიმტკიცეს: თავი უნდა მოვიწამლო! მე ეს მინდა ჩავიდინო, მაგრამ ჩემს გარეშეც ვერ ვხედავ რამე საშუალებას, რომ ჩემს სურვილს ხელს უწყობდეს! სთქვა ეს და თვალზე ცრემლები მოადგა! მერმე უცებ წამოდგა, გამომემშვიდობა და ბაღიდან გავიდა. მე, სახტად დარჩენილს არვიცოდი რა მექნა ის ჩემს ახლოს სცხოვრობდა და იმედი მქონდა-რომ კიდევ მოვილაპარაკებდით, მას დავამშვიდებდი და ამიტომ უკან არ დავედევნე. თურმე მას აფთიაქიდან საწამლავი გამოუტანა. აღელვებული სახლში მისულიყო, და რომ მოხუცებული დედმამისათვის წვალება არ დაენახვებინა სარდაფში ჩასულიყო, ქვეშაკებელიც თან ჩაეტანა, საწამლავი დაელია და იქ დაწოლილიყო.

დედ-მამას შვილის ასეთი საქციელი ეუცხოვათ და დიდი-მუდარის შემდეგ ის საწოლ ოთახში შემოიყვანეს.

შუა-ღამე იქნებოდა, რომ უეცრად საშინელი კივილი შემომესმა. შევკრთი, ტანისამოსი საჩქაროდ გადავიცვი, გარედ გამოვედი. კივილი მეზობლისას იყო. იქ საჩქაროდ მივირბინე და იმ სურათის მნახველს, რაც ჩემს წინ მაშინ გადიშალა, მთელ სხეულში დამიარა რაღაც უზომოდ მწუხარების ჟრუანტელმა.

პელაგო მწარე ხმით დასტიროდა სიკვდილის პირად მისულს ძმას.

ალი, მწუხარებით სავსე თვალებს აქეთ-იქით ვლებდა, ცახცახებდა და დაკოდილი ნადირივით ჰკვნესოდა.

დედ-მამა, გაოცებული და თავზარ დაცემული ასეთი მოულოდნელობით, გულშემოყრილი ეყარენ ოთახში. გარინდებული ხალხი სხვა-და-სხვა ჭორს იგონებდა და მოურიდებლად სინამდვილის სახით ასაღებდა.

ალი გარდაიცვალა. მესამე დღეს ის დაასაფლავეს და გაგიჟებულ პელაგოს თუმც ტუჩებზე წყევა-კრულვის სიტყვები ეხლა შეეყინოდა, მაგრ ამ სამარეში ჩაშვებულ ძმას მაინც გადასძახა:

-- შენ იკითხე, თორემ მე რა მიჭირს!

საწყალი, საცოდავი ალი აიძულეს ასე უდროვოდ დაეკარგა თავი, სთქვა მეგობარმა და ჩვენ ბაღიდან გავედით.

ვასო ჭითავა.

ალბომში.

დამიპყრო ფიქრმა და წამართვა სულის სიმშვიდე,
ფიქრმა მომტაცა ყოველივე რაც კი მიყვარდა:
სწრაფვა, ოცნება, იდეალი, ტრფობა, სიცოცხლე,
და არრა დამრჩა სივალალის ცრემლების გარდა!...
დღეს, თვით არ ვიცი, თვით არ მესმის თუ რა მომელის,
ან რას მიმზადებს მომავალში, ყრმას, ბედის წერა,
საით გარიყავს ჩემს სიცოცხლის გემს ყოფნის ქარი,
აწ სად დაამსხვრევს არსებობის ზღვის ტალღათ ბგერა?!..
მხოლოდ კი ფიქრი, შავი ფიქრი, ფიქრი სიკვდილზე,
აღარ მშორდება, აღარ მტოვებს, თან დამსდევს მარად;
ვხედავ, ნელ-ნელა ჰქრება შუქი იმედის სხივის,
და აღარ ვიცი, რას მივმართო სიცოცხლის ფარად?!..
ოჰ, მარო, მარო, ტკბილ, უზრუნველ ჟამს ჭაბუკობის,
თუ ჩემი ხვედრი იქნა უდროდ ცივი სამარე,
გემუდარები: სიცოცხლეში რაც მსურდა, მწადდა,
უამბე, ამცნე, უთხარ ყველას, გაუზიარე!..

მ. ანაშვილი.

პოეტიკა.

გალაქტი ნ ტაბაიძემ თავის ლექსების პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ ერთ ქართულ ჟურნალში მოათავსა ლექსი: „Lrt poetipe“ ეს იყო თანამედროვე მგოსნებისადმი ბირველი მანიფესტი, მოწოდება მუსიკისა და სილამაზისადმი, მსგავსი პარიზის ბოგემის მეფის პოლ ვერლენის მოწოდებისა. პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს ჰქონდა უფლება ამნაირი მოწოდებისა!“ გრძნობ რომ ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორებისა‘‘, განაცხადა ამ წიგნის შესახებ ერთმა ახალგაზდამ მწერალმა-და დაამატა: გ. ტაბიძე საინტერესო სახეა ქართველი მწერლისა არა მარტო სამგოსნო ტალანტით უფრო წერის მანერით და ლიტერატურულ გავლენითო. („მარტოობის ორდენის კავალერი“). აქვე უნდა აღვნიშნოთ: უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ მწერალზე იმდენს არ სწერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და მაინც გაუშუქებელია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარეები, ერთი ასეთი მხარეთაგანია მისი „წერის მანერა“, მთელი სახელმძღვანელო, ბალეტია, სრულიად ახალი პოეტიკა.

ეხლა ყველას შეუძლია ისარგებლოს იმ ახალი შემოღებით რომელსაც გვაძლევს გ. ტაბიძის ლექსები.

ჯერ ისევ პირველ წიგნში მრავლად არის ასსონანსები, რითმების ახალი სახე (იხ. ლექსები: „ორი ზარი“‘„ გურიის მთები,“ „ტყემ წამიყვანა,“ „უსიყვარულოდ“ და სხ.). აქ თქვენ გვხდებათ რითმების საუცხოვო თამაში:

„ტყის სიმწვანემ წაძიყვანა
გადმიშალა ხის რტოთა და
ბალახების მწვანე ყანა.

არის ასსონანსები ცნობილ ლექსებში „მერა“ და „აკაკის ლანდი“.

ეს იყო წინად დიდახნის წინად
ეს იყო ვერხვის ფოთოლთა კვნესა
დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა

(ლექსი: ვერხვები) მე პაჟი ვიყავ, ის კი პრინცესა.

როდესაც მთვარე თოვლიან ალვებს
ათრობს ცისფერი ყინვის **თასებით**
შვენის ბეჭდები ალვის მწვერვალებს
ვით სასძლოს ფარჩა და **ალმასები**.
(ლექსი: ალვისხე თოვლში“.)

ასსონანსები არის აგრეთვე ლექსში „კოშკი“ რომელიც ჩვენს ალმანახში იბეჭდება;

(მეგობარი — გაუგებარი; ელვარე თაღი-უიარაღო, **აშენებული** — **დაშინებული** და სხვ.) პირველი ასსონანსის მთქმელი დღესაც შეუდარებლათ ხმარობს ამნაირ წყობას.

გ. ტაბიძის ლექსებში აგრეთვე მოხერხებულათაა ნახმარი **შინაგანი რითმები** („ატმის ყვავილები,“ „აკაკის ლანდი“ „Nocturne“) აი ნიმუშებიც:

1. „მაგრამ ეწვიან ატმის ხეს **ქარი**
და ფრთა მედგარი შემოახვიან
ეხლაც ატყვია ხეს **განაბზარი**
ყვავილთა ღვარი რომ **დააფრქვიან**
,,ატმის ყვავილები.''

2, მე დამავიწყდა ძველი **წვალები**
და ვალალებს გრძნობათ **დამხობის**
და მახსოვს მხოლოდ ცისფერ **თვალებს**
იდუმალებს შორეულ **ტრფობის**
(“Nocturne.“)

3. **მხარეს** მწუხარეს, **არეს** მთებისას
დახარის მთვარის **შუქთა** დოლბანდი...
(,,აკაკის ლანდი.''

ნელა-ნელ მსვლელი ღურბელი ჩუმი
(,,აკაკის ლანდი'').

შინაგანი რითმები მომავალში ფრთებს გაშლის რადგან ქართული ენა საუცხოოდ ჰგუობს მას, როგორც ამას გვიჩვენებს ზევით ამოწერილი ნიმუშები.

ახალია აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსების ჩამოყალიბებული მიწყობა ხმოვანთა და **თანხმოვანთა**, **განსაკუთრებით დასაწყის სიტყვებში (სქოლეს-ტაკურ პოეტაკაში ანაფორა)**

მიდუმდა შამბი, **მ**ჩუმდა **შ**ქერი
შესწყდა ნაკადის ხვირთების მღერა,
თეთრი ჰალარით მოსილი თმები
ელვადა ელვის ელვა-ციმციმით
ნელი-ნელ მსვლელი ღურბელი ჩუმი

შემდეგ აღსანიშნავია, აგრეთვე **ხმათა მიბაძვა**, **თანხმოვანთა ერთნაირი ბგერა**, რომელიც სურათს ამშვენიერებს. ჩვენს ალმანახში დაბეჭდილი ლექსი ,,კოშკი“ იძლევა ამის ნიმუშს: საუკუნით აშენებული, **ფაღალი** კოშკი ინგრევა:

,,აჰა ყრუ რყევით, ხმაურობით,
გრგვინვა გრიალით,
დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული!

აქ ასოები ''რრ'' და ''გრრ,,- თითქო თავის თავად ამბობენ კოშკი დაცემას, აქ არის ხმათა მიბაძვა, თანხმოვანთა ერთნაირი ბგერა, რომლის წყალობითაც იქმნება სათანადო ილიუზია.

ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა გალაქტიონ ტაბიძის დაუბეჭდავი ლექსი სათაურით ,,იაგუნდა,,' რომელშიაც არის **დისონანსები**. დღემდე ყველასთვის წარმოუდგენელი იყო თუ ქართულ ლექსში შესაძლებელი გახდებოდა **დისონანსის** შემოღება, მიუხედავათ ამისა ამ ლექსში დისონანსი სავსებით იმარჯვებს.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია აღვნიშნოთ ჩვენი ფრიად ნიჭიერი მგოსნისა მწერლობის სხვა მრავალი სიახლე, რომლითაც ვიმევორებთ, ბევრს შეუძლია ისარგებლოს.

სატურნი.

ბიბლიოგრაფია.

„**სხივი**„ ლიტერატურულ-მხატვრული კრებული გაზ. „შრომის თანამშრომელთა გამოცემა. ქუთაისი. 1916 წ.

ახალი ქართული წიგნის გამოსვლა სიხარულით ავსებს ჩვენს გულს. ჩვენ არა ვართ განებივრებული სისტემატიური და მრავალ-რიცხოვანი გამოცემებით, ჩვენში არც ერთი ხეირიანი წიგნის გამომცელობა არ არსებობს, სერიოზნულად არავინ არ მოჰკიდებია ამ საქმეს, გარდა ერთი თუ ორი ჟურნალისა-და წიგნების, რომლებიც კი ეხლა გამოდიან, სავსებით შემთხვევით გამოცემის ხასიათი აქვს. ასეთია ლიტერატურულ-მხატვრული კრებული “სხივი“, გაზ. „შრომის„ თანამშრომელთა მიერ გამოცემული ამ ერთი წლის წინად უსახსროობის გამო შეჩერებულმა გაზეთმა ისევ მოაგონა თავი მკითხველებს მეტად სიმპატიური კრებულის გამოცე. კრებულში მოთავსებულია ოთხი ბელ ბელეტრის. ნწრა. ლექსები ვ. რუხაძისა ტაბიძისა, კრიტიკული შენიშვნები შენგელაისი და გიგო ნძის, არის აგრეთვე განსვენებული გიგა ჯუღელის დაუბეჭდავი ნაწერების რვეულიდან ამოღებული ნაწყვეტები. ახალგაზრდული ენერეიით და სიცოცხლითაა დაწერილი მ. ბოჭორიშვილის „კოლხეთის ცისქვეშ და „მწუხრიშვილის დღიურიდან.

ნ. მიწიშვილის ნოველებში დაკვირვებითაა დაწერილი „შური“ არა უშავს არც მუმლაძის „შვებალხენის“ წყვილსაც; მაგრამ საუკეთესო მთელ კრებულში არის ია ეკალაძის ამბავი: „თვალები, მხოლოდ თვალები“. მრავალ მშვენიერ მოთხრობათა ავტორმა ორი წლის წინათ დაბეჭდა „გრდემლში“ მოთხრობა, რომელსაც სათაურად ერქვა: „რას ამბობენ ვერსკები“, მაშინ სამართლიანი აღტაცება გამოიწვია ამ მოთხრობამ. ნაზი მწუხარებითა და წარსულის სევდიან მოგონებებით, მელოდიური რიტმით, ვერხვების დამაფიქრებელი შრიალით სავსე სტრიქონები ბევრს რასმეს ამბობდენ დამსახურებული ბელეტრისტის სასარგებლოდ და, აი, სწორედ ასეთი სიყვარულით არის დაწერილი ეკალაძის უკანასკნელი ამბავი: თვალები, მხოლოდ თვალები! იშლება ჩვენს წინ ნადიმი თავადებით კნეინებით ჭალარა-მოსილი და დარბაისელი მამაკაცებით, გასათხოვარი ქალებით და.... თვალების საუბრით“. „თქვენ იცით რა არის თვალებით საუბარი? ვერავითარი ბგერა, ვერავითარი სიტყვა, ვერავითარი საიდუმლო მარათი ისე ვერ გამოხატავს იმ ნაზსა და უმანკო გრძნობას-გრძნობას აშიკობისას როგორც ხატავს მას თვალებით საუბარი:

ქალმა სთქვა: ახალგაზრდასა
სიცილით შეეპარები,
ისე დავწვავ და დავდგავ
ახლოც არ გავეკარები“.

სუფრის თმადა, ბევრი რამეს მნახველი და გამგონე, სიყმაწვილეში ღარიბი და დამცირებული, ახალგაზრდობაში-ჭეშმარიტების მძებნელი, ვაჟკაცობაში ძმობაერთობის მქადაგებელი, ეხლა შუახანში მყოფი, გონება დამწიფებული და გულდაყვავილებული. საერთო, მედგარი მუშაობისაკენ მიმწოდებული კაცი ოთხი ღვინით სავსე ჭიქით ამბობს სადღეგრძელოებს და მოსწრებულ სიტყვებს ერთი გულისჯავილით სავსე სიტყვის თქმის დროს იგი თვალს იჭერავს ახალგაზრდა ქალს, რომელიც მას მისჩერებია „დიდრონი შავი-ნახშირივით შავის-თვალებით. ღრმა იყვენ იგინი ვით კუპრის ზღვა და მრავალ მეტყველნი ვით მოპირქუშებული ცა შემოდგომის ღამისა. ამ თვალებს იქით აღარ სჩანდა მათი ჰატრონი.... მთელი მისი არსება თითქოს მარტო, მხოლოდ თვალებად გადაქცეულიყო და ხუჭუჭ თმას შეფარებული ეს თვალები ისე ბრჭყვინავდენ, ისე აკვესებდენ, როგორც იშვიათი შავი ალმასები“. ჰატარა საუბარი. რომელიც თამადა და უცნობ ქალს შორის იმართება არაფერია იმ საუბართან, რომელსაც თვალებით საუბარი ჰქვია.

და აი, გათავდა ნადიმი. ჩამობნელებულ შარაგზა დაბურულ ტყეში, ხრამში ქუხილით მიმსბროლი მდინარე და თამადა, რომელიც მარტოდ-მარტო ბრუნდება ნადიმიდან. ცაში იელვებს, ისმის გრგვინვა და მალე კოკისპირული წვიმა იწყება.. აქ მოულოდნელი ტყის ფერიასავით ისევ ჩნდება უცნობი ქალი, თავისი ზღაპრული თვალებით. არ სჩანს სახე, ტანი არის მხოლოდ მოგონება თვალებისა, მიდიან ერთად, საუბრობენ და ოცნებობენ. სადგურთან მიახლოვებისას კი ქალი ჰქრება. მოთხრობის გმირი ამაოდ ცდილობს ოდნავ მაინც გაიხსენოს ამ უცნაური ქალის სახის ნაკვთები. მას ახსოვს მისი თვალები. “მხოლოდ თვალები, რომელიც ისე ცეცხლს აკვესებდენ სუფრაზე და რომლებიც დამამტკიცებელნი იყვნენ სიყვარულისათვის თავ-ვანწირვისა“. „ხშირად გაიხსენებს ხოლმე ამონაკვნესს იმ უცნობის ქალისას, მის ცეცხლის მფრქვეველ შავ თვალებს, მაგრამ ისეთი თვალები აღარსად შეხვედრია, თუმცა ცოტა ქართველ ქალს არა აქვს მორევიკით ღრმა, შავი და გამოუცნობელი თვალები!„

ასეთია მოკლე შინაარსი მოთხრობისა, რომელიც ყველასაგან სიამოვნებით წაიკითხება; უპირველეს ყოვლისა მოთხრობის ხელს უწყობს კარგი, მდაბიური ენა, საკუთრად ია ეკალაძის ენა. ამას გარდა ავტორს შესანიშნავად აქვს სურათების და სახეების ჩამოყალიბება და განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლორიტი. ეს უკანასკველი თვისება ზღაპრულ სილამაზეს აძლევს მთელ მოთხრობას.

კრებულში მოთავსებული კრიტიკული შენიშვნებიც არ არის ინტერესს მოკლებული, თუმცა არის მეტად გულუბრყვილო ადგილებიც; კრიტიკოსი ჰყვება ამბავს; „ჩვენს მწერლებს თავდაპირველად სწავლა და ცოდნა სჭირიათო“.!

კრებული დიდი ფორმატისაა (173 გვ.) და ღირს ერთი მანეთი.

ნარგიზი.

გედი.

ზღვა გამწყრალიყო, მღელვარებდა და ბობოქრობდა
აღთქმულ მხარისკენ მისცურავდა გულ-თეთრა გედი,
ქარიშხალი კი შესაზარად ქროდა და ქროდა
ჯოჯოხეთური კაეშანის წინამორბედი.

ზეცაზე ნისლი იხვეოდა, სევდით ბურავდა
დაბლა დაეშვა თეთრი გედი ფრთებ დაქანცული
ზღვაზე მოგზაურ ავაზაკთა გემი სცურავდა
და მის აფრაზე დაესვენა, როგორც ქალწული
მგზავრებს მიენდო... დაატყვევეს, იგი, მოსტყუვდა...

ზღვა უფრო გაწყრა, გამრისხანდა, ანგრევს ნაპირებს
ვინ იცის გემიც ჩაიძირვის თუ გადარჩება?
მაგრამ ნეტავი თეთრი გედი რაღას აპირებს?
ნუ თუ ზღვის გულშიც ავაზაკთა მონად დარჩება?

—არა მამულო!—თვით შენა ხარ ის, თეთრი გედი
რომ მიიტყუეს, დაატყვევეს, აღარ დაინდეს,
მაგრამ ქარი ქრის განახლების წინამორბედი,
და მალე ნახავ შენს გამომხსნელ ახალ რაინდებს!

სიმ. წეგელი.

„პირველი სიძნელე“

ღამის ორ საათამდე იჯდა იგი ლამპასთან.

აჰ! ღმერთო ჩემო! ნეტავ არასოდეს არ მეს-წავლა ანბანი, არასოდეს არ დამბადოდა სურვილი რატომ არა ვარ უბრალო მუშა, ან კლდე ღრეში მავალი სალამურით მოღიღინე მეცხვარე, რომელიც ჩემზე ბევრად ბედნიერია...

როგორ მინდა ღმერთო, რომ ერთხელ მაინც ვიხილო ჩემი გვარი გაზეთში, მერე როგორ გაუხარდება ნინოს ჩემს ლექსს, რომ წაიკითხავს...

არა პოეტობა კი დამშვენდება ღმერთმანი, რა ხუჭუჭი თმა მაქვს... მაგრამ, რომ ვერ შევავსე ეს უკანასკნელი სტრიქონები. ამ სიტყვებზე ის ფურცლავს ერთ მწერლის ლექსებს, რომელიც წინ უდევს... კარგა ხნის ფურცლის შემდგომ პოეტს გაეღიმა, აჰ! როგორც იყო ერთი სიძნელე გადავლახე, აჰ რა კარგია სახელის მოხვეჭა, როდესაც შენს ქებას გაიგონებ!...

რაღაც ნეტარებას ჰგრძნობს კაცი...

მაგრამ ჰმ ეს მაგრამ სულ უკან მდევს მოსვ[illegible] ნებას არ მაძლევს... მგონი ის სტრიქონი სრულია[illegible] უცვლელად ამოვსწერე—წყეულნი გამიგებენ ულ[illegible] მობელად დამსჯიან-შემარცხვენენ... მაგრამ ვის გ[illegible] ახსენდება, ეს რომ იმ მწერალს ეკუთვნის... არაფ[illegible] მეშინია ხვალ მე მივდივარ რედაქციაში, ვნახი[illegible] როგორი იქნება ჩემი პირველი ცდა თუ აქაც დავ[illegible] მარცხე სიძნელე მაშინ რაღა მიშავს?! მაგრამ მაინ[illegible] ქვეშ რა მოვაწერო? გვარი ფსევდონიმი, არა ფსი[illegible] დონიმით ნინო ვერ გაიგებს, რომ ჩემი ლე[illegible] არც სხვები დამიჯერებენ ისევ გვარი სჯობია...

II

ქალაქ თ—ს ქუჩაზე ათრთოლებული მიდიოდ[illegible] „პოეტი“ იპ. ჯ—ძე ვინ იცის გულში ეხლა იგ[illegible] შოთას ედარებოდა, ან კიდევ სერვანტეს გმირი[illegible] დონ-კიხოტისებურ ოცნებით თავის ლექსით მთელ[illegible] ქვეყნიერებას აკვირვებდა და სახელს იხვეჭდა.

ბლოვდა რედაქციას... შეაღო კარები... ფრო ცახცახებს, ფერი სულ წასვლია, კა- ი მდგომი რედაქციის მსახური „პოეტს“ რე- ორი ეგონა და მას ფეხებამდე სალამი მისცა, ურს გაეცინა და „პოეტი“ რედაქტორთან შეი- ა, რედაქტორმა პოეტს სახეზე დააკვირდა და ათ განცვიფრდა, მისი სახე უსაზღვრო ნაღველს ობატავდა „პოეტმა“ ხელის კანკალით მიაწოდა დაქტორს სიმწრით დაწერილი ლექსი რამდენიმე ის გაბრუებული იდგა. და ესმა დასტოვეთ დაი- ყდება ... გარეთ აღტაცებული გამოვარდა...

მეორე დღეს ქუჩაში შეგროვილ ხალხში სდგას უკვე თქვენი ნაცნობი „პოეტი“ იპ. ჯ ძე ხელში რამდენიმე ცალი გაზეთი უჭირავს. უცბად განშორდა ხალხს და ამაყად სადღაც გაეშურა სად მიდის? ნინოსთან უნდა აჩვენოს ლექსი სხვა ჭეგობარ ნაცნობს უკვე წააკითხა... ყველა აღტაცებაში მოიყვანა იპ. ჯ—ძე ეღირსა „ბედნიერებას“ მივიდა ნინოსთან წინად თავმდაბალი ფეხებამდე მის წინაშე თავის მხრელი დღეს ამაყი და შეუპოვარი. ნინო განცვიფრდა... უკაცრავად ამის შემდეგ რა მოხდა სამწუხაროდ ეხლა ვერ გიამბობთ ვინაიდან ის პირი. რომელმაც ეს ამბავი გადმოგვცა, რედაქციის მაგიდასთან ჯდომის დროს ისე მაგრათ გაეცინა რომ ენა დაება და დამუნჯდა, ალბად შემდეგ უფრო საინტერესოა „პოეტ“ იპ. ჯ—ძის ამბავი.

ჭიჭო.

რედაქციისაგან.

ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომერში ვერ მოთავსდა ყველა განრზახული მასალა.

ჯ. მიდის წერილი: „გ. ტაბიძის შემოქმედება“ გადადებული იქნა.

რედაქტორ გამომცემელი ლადო მაჭავარიანი.

ნებთადარულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა.

Ო 984 Ბ
1916

ფასი ორი შაური.